დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 18 აგვისტო**

დისციპლინური საქმე №152/23
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 28 ივლისის №152 საჩივარის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 31 ივლისის №441/152-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ 2021 წლის 29 დეკემბრის განჩინებით №-- საქმეზე უკანონოდ და უსაფუძვლოდ უთხრა უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

1.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ 2023 წლის 10 ივლისის განჩინებით №-- მისი განცხადება (სარჩელი) უკანონოდ და უსაფუძვლოდ განსახილველად განსჯადობით გადააგზავნა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2021 წლის 14 სექტემბერს -- -- განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას (საქმე №--).

2021 წლის 14 სექტემბერს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით შემთხვევითი განაწილების პრინციპით საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2021 წლის 16 სექტემბრის -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით -- -- ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა საპროცესო ვადა 7 დღე.

2021 წლის 25 ნოემბერს -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას დაზუსტებული სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხეების -- --, -- მუნიციპალიტეტის მერიის, ასევე საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა -- -- 2009 წლის 7 დეკემბრის -- დადგენილების ბათილად ცნობა, საქართველოს -- 2010 წლის 5 მარტის №-- განკარგულების ბათილად ცნობა, 2010 წლის 17 მარტს -- მერიასა და -- №-- -ის მაცხოვრებლებს შორის

დადებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობა (უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ) და 2010 წლის 30 მარტს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 13 მარტის -- ბრძანების ბათილად ცნობა. ასევე დავალებოდა საქართველოს -- და -- მერიას გამოეცა ახალი ადმინისტრაციული აქტი ფიზიკური პირების მიმართ ბინის გადაცემაზე უარის თქმის და მოსარჩელისთვის 375 კვ.მ ფართის გადაცემის შესახებ. მოითხოვა მორალური ზიანის და ეკონომიკური ზარალის ანაზღაურება.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 ნოემბრის განჩინებით -- -- გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადა 7 დღით, რათა მას წარედგინა სარჩელში მითითებული (გასაჩივრებული) აქტები.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 ნოემბრის განჩინება -- -- ჩაბარდა პირადად 2021 წლის 9 დეკემბერს.

მოსარჩელე -- -- სასამართლოს განჩინებით დაწესებულ 7 დღიან ვადაში არ შეავსო სარჩელში არსებული ხარვეზი, ასევე არ მოუთხოვია საპროცესო ვადის გაგრძელება.

2021 წლის 29 დეკემბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა 2021 წლის 14 სექტემბერს -- საქალაქო სასამართლოში წარდგენილი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

2.2. 2023 წლის 08 ივნისს -- -- განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას (საქმე №--), სადაც ასაჩივრებდა სსიპ -- -- 2023 წლის 05 ივნისის -- წერილს, რომელიც ეხებოდა -- -- ბიუროს ადვოკატთა მიერ ჩადენილ სავარაუდო დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებით დისციპლინური წარმოების შესახებ ინფორმაციას.

2023 წლის 8 ივნისს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით შემთხვევითი განაწილების პრინციპით საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 9 ივნისის განჩინებით -- -- ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა საპროცესო ვადა 10 დღე, დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის მიზნით.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 10 ივლისის განჩინებით -- -- განცხადება (სარჩელი) განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლემ 2021 წლის 29 დეკემბრის განჩინებით №-- საქმეზე უკანონოდ და უსაფუძვლოდ უთხრა უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ.

საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებული განჩინების შემოწმებას, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში, რადგან წარმოადგენს აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობას.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მოსამართლემ 2023 წლის 10 ივლისის განჩინებით №-- მისი განცხადება (სარჩელი) უკანონოდ და უსაფუძვლოდ განსახილველად განსჯადობით გადააგზავნა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, ასევე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს.

ამდენად, განჩინებების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

შეწყდეს -- -- 2023 წლის 28 ივლისის №152 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი